MES 8 23 0000163422

13/02/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:
1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი.
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; საბჭოს თავმჯდომარე;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ია გიგიბერია - შპს ქართული სასწავლებლის - თბილისის მასწავლებელი, ქიმიის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

საბა ელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
მარი მგელაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს პელაგონი
ნანა ბარკალაია - სკოლის წარმომადგენელი

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლა
მამუკა თედიაშვილი - სკოლის დირექტორი

სპს კერძო საშუალო სკოლა დავითიანი-მარინა გორშკოვა
მარინა გორშკოვა - სკოლის დირექტორი

შპს მჭევრის დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლა
თამაზ ნაცვლიშვილი - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტ ები):

შპს პელაგონი
ნოდარ ანგურიძე
თეა გაბელაია

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლა
ქეთევან ბოტკოველი
ლიანა კობესაშვილი

სპს კერძო საშუალო სკოლა დავითიანი-მარინა გორშკოვა
ნოდარ ანგურიძე
მაკა ტუკვაძე

შპს მჭევრის დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლა
ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი
მარინე ჯანაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი. კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2023 წლის 31 იანვარს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს პელაგონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სპს კერძო საშუალო სკოლა დავითიანი-მარინა გორშკოვას ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს მჭევრის დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. შპს პელაგონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს

წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნოდარ ანგურიძემ და თეა გაბელაიამ.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 28 და 29 დეკემბერს ქ. სენაკში. ექსპერტმა ისაუბრა დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკაზე. მან განმარტა, რომ სკოლა თავის საუკეთესო პრაქტიკად მიიჩნევდა იმ ფაქტს, რომ მისი მოსწავლეები ეროვნულ გამოცდებს აბარებდნენ ყოველგვარი რეპეტიტორების გარეშე. ექსპერტმა ისაუბრა წინა საავტორიზაციო ვიზიტში გაცემული რეკომენდაციების თაობაზე. წინა ავტორიზაციის ვიზიტის დროს გაცემული იყო რეკომენდაცია, რომ სკოლას შემაჯამებელ დავალებებად მხოლოდ ტესტური ტიპის დავალებები არ გამოეყენებინა. ექსპერტმა განმარტა, აღნიშნული სკოლის მიერ გამოსწორებული იყო, რადგან შემაჯამებელ დავალებებად სკოლა იყენებს სხვადასხვა ტიპის დავალებებს, მათ შორის ღია ტიპის შეკითხვები, თხზულებები, ესსე და სხვა. გარდა ამისა სკოლაში ინერგებოდა კომპლექსური ტიპის დავალებების გაკეთების პრაქტიკაც.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პირველ სტანდარტთან მიმართებით არ დაფიქსირებულა ხარვეზი. სკოლას შერჩეული ჰქონდა საათორბივი ბადის მესამე მოდელი, თუმცა, სკოლას აღნიშნული შეთანხმებული არ ჰქონდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. შესაბამისად გაიცა რეკომენდაცია, მესამე მოდელის არჩევისას სკოლას სამინისტროში წარედგინა წერილი, რომელშიც დაასაბუთებდა, თუ როგორ შეუწყობდა ხელს სკოლის მიერ განსაზღვრული საათობრივი დატვირთვა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნის სტანდარტის შედეგების მიღწევას.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლას არჩევით საგნად არჩეული ჰქონდა სახელმწიფო და ეკონომიკა - X კლასი; ხელოვნების ისტორი- -XI კლასი; მსოფლიო კულტურა -XII კლასი; ექსპერტის განმარტებით, ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებად სკოლა I-VI კლასების მოსწავლებს სთავაზობდა გახანგრძლივებულ დღის ჯგუფს (რეჟიმს), სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემული გახანგრძლივებული ჯგუფის მუშაობის განრიგი; ჭადრაკი, რომლის სწავლება ხორციელდებოდა შაბათ-კვირას; ქორეოგრაფია, ისწავლებოდა ქართულ-ხალხური ცეკვის ელემენტები-დღის მეორე ნახევარში.

ექსპერტის განცხადებით სკოლაში ფუნქციონირებდა ხუთი საგნობრივი კათედრა: 1. დაწყებითი კლასების კათედრა; 2. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა; 3. ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა; 4. უცხოური ენების კათედრა; 5. ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა.

მატერიალურ სტანდარტთან მიმართებით, ექსპერტმა განაცხადა, რომ შპს პელაგონი ფუნქციონირებდა ქ. სენაკში, წმ. ნინოს ქუჩა N8-ში მდებარე შენობაში. შპს პელაგონს საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით სს ,,სენაკი XXI საუკუნესგან“ იჯარით აღებული ჰქონდა სკოლის ფუნქციონირებისათვის 4 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის ორი სართული (მე-3 დამე-4 სართულები), სულ სკოლის სარგებლობაში იყო 386,21 კვ.მ. ფართი. ორივე სართულზე არსებულ ფართებში მინდინარეობდა სასწავლო პროცესი, ექსპერტმა აღნიშნა ერთი გარემოება, კერძოდ, მეოთხე სართულზე სადაც მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი განთავსებული იყო ერთი ოთახი, რომელიც სს ,,სენაკი XXI საუკუნეს“ ეკუთვნოდა და სკოლის სამართლებრივ სარგებლობაში არ იყო, თუმცა რეალურად სკოლა იყენებდა სასაწყობედ და ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას ცნობილი გახდა, რომ სკოლა უახლოეს მომავალში გეგმავდა აღნიშნული ფართის იჯარით სარგელობაში აღებას.

ექსპერტის განცხადებით, სკოლის იჯარით სარგებლობაში არსებულ მე-3 სართულზე განთავსებული იყო 12 ოთახი, ხოლო მე-4 სართულზე 3 ოთახი. სკოლის მე-3 სართულზე განთავსებული იყო 10 საკლასო ოთახი, 1 ადმინისტრაციის ოთახი, 1 სამედიცინო კაბინეტი, ხოლო მე-4 სართულზე განთავსებული იყო სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლა კომპიუტერულ ლაბორატორიას და ბიბლიოთეკას იყენებდა საკლასო ოთახად (კომპიუტერული ლაბორატორია ასევე იყო მე-8 კლასის საკლასო ოთახი, ბიბლიოთეკა პირველი კლასი). სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ბიბლიოთეკისგან და კომპიუტერული ლაბორატორიისგან საკლასო ოთახების ცალკე გამოყოფის შესახებ. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და ვიზიტის პერიოდში სამასწავლებლოსთვის განკუთვნილი ოთახი შეცვალა საკალასო ოთახით და განათავსა მე-8 კლასი, ხოლო კომპიუტერული ლაბორატორია გააერთიანა ბიბლიოთეკასთან (ბიბლიოთეკას გამოიყენებდა ისტ-ის გაკვეთილების ჩასატარებლად) და კომპიუტერული ლაბორატორიის ოთახში განათავსა პირველი კლასი.

ექსპერტის განცხადებით, სკოლას არ ჰქონდა სპორტული დარბაზი და სპორტული მოედანი, მაგრამ სკოლას ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული ახლო მდებარე სპორტულ დარბაზთან, სადაც სპორტის გაკვეთილები ტარდება საგაკვეთილო ცხრილის შესაბამისად. აღნიშნულ სპორტულ დარბაზში მოსწავლეთა გადაადგილება ხორციელდებოდა მიკროავტობუსით. სკოლას მძღოლთან გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება. მძღოლი და სპორტის მასწავლებელი უზრუნველყოფდნენ მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილებას სპორტულ დარბაზამდე.

ლაბორატორიის თაობაზე, ექსპერტმა განაცხადა, რომსკოლას საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია ცალკე გამოყოფილი არ ჰქონდა, თუმცა STEM ლაბორატორის სასწავლო რესურსები, კერძოდ, რეოსტატი, მულაჟები, მიკროსკოპი, თვალსაჩინოებები და ხელსაბანი ნიჟარა განთავსებული იყო მე-12 კლასში. ასევე, შესაძლებელი იყო, ლაბორატორიის ბუნებრივი განიავებაც ფანჯრების საშუალებით. სკოლას ჰქონდა ლაბორატორიული აღჭურვილობის სრული კომპლექტი, მაგრამ ხანძრის შედეგად ნაწილი განადგურდა, ამიტომ სკოლა გეგმავდა ახალი კომპლექტის შეძენას. ამ მიზნით სკოლას 2022 წლის 01 დეკემბერს გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება შპს ,,ლიმესთან“ 12 ათასი ლარის ოდენობის ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის ლაბორატორიის აღჭურვილობის შეძენაზე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლას ჰქონდა ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის, კერძოდ, შენობის შიგნით, ერთ მხარეს, I, II და III სართულის შიდა კიბეებზე მოწყობილი იყო პანდუსები (ასაკეცი). სკოლის შენობაში არ იყო ადაპტირებული სველი წერტილი სსსმ პირებისთვის. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, სსსმ პირებისთვის ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობის თაობაზე. ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულებაში არ ირიცხებოდა სსსმ მოსწავლე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლაში ვიზიტის პერიოდში დამონტაჟებული იყო 2 გარე კამერა და 7 შიდა კამერა, სულ 9 კამერა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ, გაიცა რეკომენდაცია ერთი შიდა კამერის დამატების თაობაზე, მე-4 სართულის კიბის უჯრედზე. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია. ექსპერტთა ვიზიტის დროს, სკოლის შენობის მე-4 სართულზე კიბის უჯრედის ვიდეომეთვალყურეობის მიზნით, სკოლამ დამატებით შეისყიდა 1 კამერა და წარმოადგინა შესყიდვის დოკუმენტაცია. ექსპერტმა განმარტა, რომ ვიზიტის პერიოდში, ვიზუალური დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ ერთი გარე კამერა, რომელიც დამონტაჟებული იყოს სკოლის შენობის წინა ფასადზე არ მუშაობდა. დირექტორთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტამდე რამდენიმე დღით ადრე ხორციელდებოდა სკოლის წინა ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოები ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მერიისგან, რის შედეგადაც დაზიანდა ერთი გარე კამერა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ შესაბამისად უსაფრთხოებისა და

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები, რომელის შესახებაც სკოლას შესათანხმებლად გაგზავნილი ჰქონდა წერილი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, თუმცა პასუხი ექსპერტთა ვიზიტის პერიოდისთვის არ ჰქონდა მიღებული.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლას ჰქონდა სამედიცინო კაბინეტი და ჰყავდა ექიმი. სკოლის ექიმთან გაფორმებული იყო ხელშეკრულება, სადაც გაწერილი იყო მისი მოვალეობები. სკოლას ჰქონდა პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისთვის საჭირო მედიკამენტები, სამედიცინო დანიშნულებით გამოყოფილი იყო ცალკე ოთახი, რომელიც აღჭურვილი იყო სათანადო ინვენტარით, თუმცა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N041/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანების დანართი 2-ში მოცემული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ მე-4 მუხლის შესაბამისად სამედიცინო კაბინეტი საჭიროებდა რამდენიმე სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობის დამატებას, კერძოდ, სამედიცინო კაბინეტში არ იყო განთავსებული: მაცივარი, საკაცე, ბასრი სამედიცინო ნარჩენების კონტეინერი, სპეციალური ცხრილი მხედველობის შესამოწმებლად. ექსპერტთა მიერ გაიცა რეკომენდაცია სამედიცინო აღჭურვილობის სრულყოფის შესახებ.
ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით, ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლას 20222023 სასწავლო წელს შემუშავებულ სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელებას უზრუნველყოფდა 20 პედაგოგი, მათ შორის 7 უფროსი მასწავლებელი, ერთი წამყვანი მასწავლებელი, 12 უსტატუსო მასწავლებელი. სასკოლო სასწავლო გეგმის შესრულებაზე ზრუნავდნენ სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ბუღალტერი, ექიმი, მძღოლი, 1 დამლაგებელი. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები გაწერილი იყო დებულებაში. ექსპერტის განმარტებით, მასწავლებელთა რესურსი საკმარისი იყო სასკოლო საათობრივი ბადით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის.
ექსპერტის განცხადებით, პირადი საქმეების შესწავლისას აღმოჩნდა, რომ სკოლის პერსონალს არ ჰქონდა აღებული სქესობრივი ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართ დანაშაულის ჩადენისათვის დამადასტურებელ ცნობები. ექსპერტმა განაცხადა, რომ ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გაირკვა, რომ სქესობრივი ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართ დანაშაულის ჩადენისათვის დამადასტურებელი ცნობის მიღებას განახორციელებდა იანვრის თვეში.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრი, ზვიად გოგუაძე დაინტერესდა, სსსმ ადაპტირებული სველი წერტილის მდებარეობის შესახებ, ვინაიდან სკოლის მიერ საბჭოს სხდომამდე წარმოდგენილი ფოტო მასალით ვლინდებოდა, რომ სველი წერტილის ფანჯარა და ფარდა ვერ უზრუნველყოფდა პრივატულობას.
აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტმა განაცხადა, რომ სველი წერტილი მდებარეობდა სკოლის მესამე სართულზე და შესაბამისად, პრივატულობა დაცული იყო.
საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი დაინტერესდა სკოლის სახელწოდებით ,,პელაგონი“, რომელიც ნიშნავდა მეგრულ ენაზე ზღვას, სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სახელწოდებაში მოიაზრებოდა ვრცელი და სიღმისეული ცოდნის მიღება, ისეთივე ვრცელი და სიღრმისეული, როგორიც იყო ზღვა.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა დააფიქსირა პოზიცია, რომ სკოლის ოფიციალური მეილი განთავსებული იყო არაქართულ სერვერზე და რომ სკოლას ემუშავა განეთავსებინა მოსწავლეთა პერსონალური მონაცემები დაცულ სერვერზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლა გაითვალისწინებდა აღნიშნულ რეკომენდაციას.
ასევე, ეკატერინე კვირიკაშვილი დაინტერესდა სკოლის მისიის თაობაზე, რომელიც იყო საკმაოდ ვრცელი.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლის მისია შემუშავებული იყო დაწესებულების ძველი დირექტორისა და სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, სკოლა აპირებდა ძველი მისიის გადახედვას და მის მოდიფიცირებას.
საბჭოს წევრი ია გიგიბერია დაინტერესდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის საკითხით.
სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ 2022 წლის ზაფხულში, არდადეგების პერიოდში სკოლის მიმდებარე შენობაში გაჩნდა ხანძარი, რომელიც გადავიდა სკოლის შენობაზეც და დაზიანდა ლაბორატორიის ინვენტარიც. სკოლას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება ახალი ლაბორატორიის აღჭურვილობის შეძენის თაობაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ლაბორატორიაში გათვალისწინებული კლასის ფუნქციონირება შეთავსებული იყო სასწავლო პროცესში და ცხრილი შეთავსებული იყო ისე, რომ სხვა კლასებს არ შეფერხებოდათ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში საგაკვეთილო პროცესის წარმართვა.
სკოლის წარმომადგენელმა, ასევე, განმარტა, რომ დაწესებულება აპირებდა შენობის მეოთხე სართულზე არსებული ფართის იჯარით დამატების თაობაზე, სადაც სკოლა გეგმავდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის განთავსებას ცალკე სივრცეში.
საბჭოს წევრი, ნატო გაბოშვილი დაინტერესდა, ექსპერტებს თუ ჰქონდათ შეხვედრა სკოლის მოსწავლეთა მშობლებთან და დადებითი პასუხის შემთხვევაში რა გამოიკვეთა იმის მიზეზად, თუ რატომ ჰქონდათ არჩეული აღნიშნული სკოლა.
ექსპერტმა განაცხადა, რომ მშობლებთან ინტერვიუ ჩატარდა, და ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ ყველა მშობელი კმაყოფილი იყო დაწესებულებაში ფიზიკური და სოციო-კულტურული გარემოს არსებობით, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებით. ასევე, სკოლაში შექმნილი კეთილგანწყობილი გარემოთი.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 102 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს პელაგონის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 102 - ით განსაზღვრის საკითხი.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 10 თებერვლის N29 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2017 წლის 10 თებერვალს 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2023 წლის 10 თებერვალს.
საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს პელაგონს (ს/კ: 239897634) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 102 - ით. აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2023 წლის 10 თებერვალი. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბოტკოველმა და ლიანა კობესაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 27 და 28 დეკემბერს.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლის საათობრივ ბადეში ეროვნული სასწავლო გეგმით წარმოდგენილ საათობრივ ბადესგან განსხვავებით შემცირებული იყო საათების რაოდენობა სპორტში, მუსიკაში, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, არჩევით საგნებში. შესაბამისად, სასკოლო საათობრივი ბადე წარმოადგენდა ეროვნული სასწავლო გეგმის 56-ე მუხლით განსაზღვრულ მესამე მოდელის საათობრივ ბადეს, შესაბამისად, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, საათობრივი ბადე შესაბამისი დასაბუთებით წარედგინა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის მიმართ გაცემულ რჩევაზე, რომ სკოლას შემაჯამებელ დავალებათა ნაწილში გამოეყენებინა კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებები, ტესტური დავალებების შემთხვევაში კი უპირატესობა მიენიჭებინა ღია დაბოლოებიან შეკითხვებისთვის. დახურული ტიპის დავალებების ქულების წილი მთლიან ტესტში, შეეზღუდა 30% - მდე. ექსპერტმა განაცხადა, რომ შეფასების ნაწილში, სკოლას მიეცა რჩევა, შემაჯამებელი შეფასებით გაეზომა, რამდენად ფლობდა ან/და რამდენად ფუნქციურად იყენებდა მოსწავლე კონკრეტულ სამიზნე ცნებას/ცნებებს. ცნებების და უფლების ხარისხის შესაფასებლად კი გამოეყენებინა კონკრეტულ ცნებასთან მიმართებით და კონკრეტებული რუბრიკები. ასევე, უფრო აქტიურად გამოეყენებინათ განმავითარებელი შეფასება.

ექსპერტმა, ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ წარმოდგენილი დებულების მიხედვით ის შექმნილი იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშის ზოგადი განათლების უზრუნველსაყოფად სკოლაში. ხოლო სსსმ მოსწავლეთა განათლების უზრუნველყოფის მექანიზმებში დაზუსტებული იყო თუ ვინ მოიაზრებოდა სსსმ მოსწავლეში და რა უნდა გაეკეთებინა სკოლას სსსმ მოსწავლესთან მიმართებაში. წარმოდგენილი დოკუმენტები ტერმინოლოგიური თვალსაზრისით შესაბამისობაში იყო მოსაყვანი ეროვნული სასწავლო გეგმის VIII თავთან (ინკლუზიური განათლება) და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 16/ნ (ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე) ბრძანებასთან. სსსმ მოსწავლე სკოლას არ ჰყავდა ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში. ექსპერტთა მიერ გაიცა რეკომენდაცია-სკოლაში გადახედილიყო და შესაბამისობაში მოსულიყო არსებულ მოთხოვნებთან ინკლუზიური განათლების მართვის დებულება და სსსმ მოსწავლეთა განათლების პროცესის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებამ წარმოადგინა სასკოლო-სასწავლო გეგმის გაუმჯობესების მექანიზმები. დოკუმენტში წარმოდგენილი იყო კონკრეტული აქტივობები მიზნებით და მონიტორინგის მეთოდებით. სკოლას მიეცა რჩევა, გადაეხედა და გადაემუშავებინა კითხვარები, რისთვისაც სასურველი იყო შეემუშავებინა კითხვარის შედგენის მეთოდოლოგია, რაც დაეხმარებოდა განსაზღვრულიყო კითხვარის მიზნები/ამოცანები; ჩამოეყალიბებინა კონკრეტული თემები/კონსტრუქტები/ცნებები/საკითხები, რომელიც უნდა მოეცვა კითხვარს და განესაზღვრა მონაცემები, რომელიც საჭირო იყო კვლევის მიზნების მისაღწევად.

მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლა მდებარეობდა ქ. თბილისში ვაჟა-ფშაველას გამზირზე N 51. რეესტრის ამონაწერის (N882022624232) თანახმად დაწესებულება ფლობდა 3370.00 კვ.მ ფართს და N1 -N9 შენობებს, თუმცა სკოლა განთავსებული იყო 4 შენობაში, რომლებიც იყო ორსართულიანი და ერთმანეთთან კორიდორებით იყო დაკავშირებული. სკოლას ფართი და შენობა დაწესებულებას გადაცემული ჰქონდა უძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულებით (რეესტრის ნომერი N1-4436, დამოწმების თარიღი 24/04/2027) საქართველოს საპატრიარქოსგან.

ექსპერტის განმარტებით, სკოლაში 28 საკლასო ოთახი იყო, რომლებშიც განთავსებული იყო 508 ერთადგილიანი მაგიდა და სკამი, მათ შორის 9 ორადგილიანი ფართე მაგიდა. პირველ სართულზე განთავსებული საკლასო ოთახებიდან 9 საკლასო ოთახი და საბუნებისმეტყველო კაბინეტი ეზოში გამოდიოდა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის წარმომადგენლებთან ზეპირი გასაუბრებით და 6 წლიანი გეგმის შესწავლით დადგინდა, რომ დაგეგმილი იყო სკოლის მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობების უკეთ მორგება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის და მსუბუქი კონსტრუქციის სართულების დაშენება–2023 წლის იანვრიდან 2026 წლის 15 სექტემბრამდე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლაში არსებული საკლასო ოთახების რაოდენობა და მათში განთავსებული (508+ დასაწყობებული 50) მერხი და სკამი, ვერ უზრუნველყოფდა მოსწავლეთა მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობას - 615. ექსპერტთა შეფასებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა შეიძლება განსაზღვრულიყო მხოლოდ 550 მოსწავლით.

ექსპერტმა განაცხადა, სკოლის შენობას აკრავდა 3 შიდა ეზო, ერთერთი მათგანი გამოიყენებოდა სპორტულ მოედნად, რომელზეც იდგა ფეხბურთის 2 კარი და ერთი კალათბურთის ფარი. სპორტულ მოედანს არ ჰქონდა რბილი საფარი, რასთან დაკავშირებითაც სკოლას მიეცა შესაბამისი რეკომენდაცია, თუმცა, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის 6 წლიანი გეგმის თანახმად ხელოვნურსაფარიანი მოედნის/მოედნების მოწყობა იგეგმებოდა 2026 წლის 15 სექტემბრამდე;

ექსპერტის განცხადებით, სკოლაში იყო 1 საბუნებისმეტყველო კაბინეტი, რომელშიც განთავსებული იყო ქიმია-ბიოლოგიის და ფიზიკის ლაბორატორიები. კაბინეტში დამონტაჟებული იყო ონკანი და ფანჯარაზე მიმაგრებული იყო გამწოვი. სასწავლო

პროცესისთვის სათანადო ლაბორატორიული ინვენტარი და რეაქტივები დაცული იყო კაბინეტის ცალკე სივრცეში. სკოლას შემუშავებული ჰქონდა ლაბორატორიის გამოყენების წესი, რომელიც გამოკრული იყო თვალსაჩინო ადგილზე. ექსპერტთა მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში ამწოვი კარადის დამონტაჟებასთან დაკავშირებით.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლის პირველ სართულზე განთავსებული იყო სამედიცინო კაბინეტი. შემუშავებული და გამოკრული იყო სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი N41/ნ/01-23/ნ ბრძანების თანახმად სკოლას ჰყავდა ექიმი და ექთანი, რომლებთანაც გაფორმებული იყო შესაბამისი ხელშეკრულებები.
ექსპერტის განმარტებით, სკოლას მიეცა შემდეგი სახის რჩევა - გააქტიურებულიყო ვებგვერდი და მასზე განთავსებულიყო ელექტრონული ჟურნალიც, რაც სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას უფრო მეტად შეუწყობდა ხელს.
ექსპერტის განცხადებით, სკოლამ წარმოადგინა უსაფრთხოების დებულება, რომელიც დამტკიცებული იყო ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლის დირექტორის 2022 წლის 7 სექტემბრის N184 ბრძანებით. დოკუმენტით (მუხლი 4) განსაზღვრული იყო შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის მიზნები, ორგანიზაციაში შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვა, დამსაქმებლის ვალდებულება. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული იყო საგანგებო სიტუაციების და სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებები და შექმნილი იყო ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლის საგანგებო შტაბი (გაწერილი იყო საგანგებო შტაბის წევრების ფუნქციონალური მოვალეობებით). სკოლის დირექტორი იყო ამავდროულად შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტი, რომელიც ზედამხედველობისა და დაცვის სამსახურის თანამშრომლებთან ერთად ხელმძღვანელობდა პროცესს და მუშაობას წარმართავდა ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის ბრძანება No06/ნ-ის, სკოლის წესდებით, შინაგანაწესით, დებულებითა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში. ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლის დირექციასთან გასაუბრებით და შესყიდვის დოკუმენტაციის შესწავლით დადგენილ იქნა, რომ მათ ჰქონდათ 11 ცეცხლმაქრი, რომელთა რაოდენობაც საევაკუაციო გეგმების თანახმად იყო განსაზღვრული, თუმცა ვიზიტის პერიოდში ადგილზე არ იყო წარმოდგენილი, რამდენადაც დასამუხტად იყო წაღებული. ასევე, სკოლაში არ იყო გამოკრული გასასვლელი მანიშნებლები EXIT, რასთან დაკავშირებითაც ექსპერტთა მიერ, სკოლას მიეცა შესაბამისი რეკომენდაცია - უზრუნველეყო ცეცხლმაქრების დროული განთავსება შესაბამის ადგილებზე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლის ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილებზე გამოკრული იყო საევაკუაციო გეგმები (8 ცალი), რომლებიც საჭიროებდა განახლებას, თუმცა სკოლამ იქვე წარმოადგინა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის-საქართველოს მთავრობის დადგენილება No370 - ით განსაზღვრული-ევაკუაციის გეგმები, რომლებიც არ ჰქონდათ განთავსებული შესაბამის ადგილებზე, რამდენადაც არ იყო ლამინირებული. შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა უახლოეს პერიოდში შეეცვალა საევაკუაციო გეგმები ახალი არსებული გეგმებით.
ექსპერტის განმარტებით, იმის გათვალისწინებით, რომ სკოლის შენობას, ძირითად კორიდორებთან ერთად ჰქონდა ისეთი კორიდორები, რომელთა კონტროლიც სრულად ვერ ხორციელდებოდა არსებული სამეთვალყურეო სისტემით, ექსპერტთა მხრიდან სკოლას მიეცა რეკომენდაცია 15 კამერის დამატებასთან დაკავშირებით. ექსპერტის განმარტებით, არგუმენტირებული პოზიციის ეტაპზე, სკოლამ წარმოადგინა ვიდეო მეთვალყურეობის კამერების შესყიდვის დოკუმენტაცია.

ადამიანური რესურსის თაობაზე, ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლაში 79 თანამშრომელი. აქედან 51 მასწავლებელი.
ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებული იყო შრომითი ხელშეკრულება, რომელიც შედგენილი იყო შრომის კოდექსის მოთხოვნის შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულება შეიცავდა ზოგად დებულებას, ხელშეკრულების საგანს (მასწავლებლის შემთხვევაში, საგანი რომელსაც ასწავლის და სტატუსი), მხარეთა უფლება მოვალეობას, სამუშაო ადგილსა და დროს, დასვენების დროს, ანაზღაურების წესს, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესს, მხარეთა პასუხისმგებლობის წესს, ხელშეკრულების მოქმედების ვადას და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის პირობებს, მხარეთა რეკვიზიტებსა და ხელმოწერას. ხელშეკრულებები ხელმოწერილი იყო ორივე მხარის მიერ, ხოლო თანამშრომელთა პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დასტურდებოდა, რომ არცერთ მათგანს არ ჰქონდა წარმოდგენილი ცნობები იმასთან დაკავშირებით, რომ არ იყვნენ ნასამართლევი და არ ჰქონდათ ჩადენილი დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ. ექსპერტის განმარტებით, არგუმენტირებული პოზიციის ეტაპზე სკოლამ წარმოდგინა დოკუმენტაცია, რომ პერსონალმა გააკეთა განაცხადა აღნიშნული ცნობების აღების თობაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრი, მაკა მამფორია დაინტერესდა სკოლაში ადამიანური რესურსის განვითარების ხელშემწყობ დოკუმენტაციის არსებობის თაობაზე.
ექპერტმა განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი იყო სკოლის პრიორიტეტი და სკოლის ადამიანური რესურსის განვითარებაზე ზრუნავდა როგორც თავად სკოლა ასევე საქართველოს საპატრიარქო.
საბჭოს წევრი ზვიად გოგუაძე დაინტერესდა, სკოლის მოსწავლეების მიერ პროექტული სწავლების ან სასკოლო კლუბების არსებობის თაობაზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლაში არსებობდა მკითხველთა კლუბი. ხოციელდებოდა მოსწავლეთა ეტაპობრივი გასვლები და სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობები.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 550 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 550 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლას (ს/კ: 205195028) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 550 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

საბჭოს სხდომას, 17:00 საათზე შემოუერთდა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია.

3. სპს კერძო საშუალო სკოლა დავითიანი-მარინა გორშკოვას ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნოდარ ანგურიძემ და მაკა ტუკვაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 14 და 15 დეკემბერს.
ექსპერტმა ისაუბრა დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკაზე და განაცხადა, რომ სკოლა მდებარეობდა მრავალეთნიკურ რეგიონში. კერძოდ, ქალაქ ბოლნისში, ამიტომ სკოლის მთავარი პრიორიტეტი იყო ეთნიკური უმცირესობის მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობა სასწავლო პროცესში. სკოლამ არაფორმალური განათლების ფარგლებში განახორციელა შემდეგი აქტივობები: პროექტის ,,ისწავლე და გამოცადე აქტიური მრავალეთნიკური მოქალაქეობა", საპილოტე პროექტი ,,მრავალეთნიკური დღე სკოლაში“. სკოლას ჰქონდა შექმნილი გზამკვლევი ,,მრავალეთნიკური საქართველო“ სამ ენაზე, (აზერბაიჯანული, სომხური, ქართული), სადაც ახსნილი იყო თუ როგორ შეიძლებოდა ჩაეტარებინა სკოლას კულტურული მრავალფეროვნების

დღეები სკოლაში. ასევე, საწარმო ,,Art Davitiani", რომელიც აქტიურად თანამშრომლობს Junior Echievement Georgia-სთან, საქპატენტთან (ინტელექტუალური საკუთრება) და ადგილობრივ თვითმმართველობასთან. საწარმოში მეორადი გამოყენების ნითებისგან, ნარჩენებისგან იქმნებოდა ხელნაკეთი ნივთები, სათამაშოები. სკოლა აქტიურად შეიმუშავებდა და ახორციელებდა საგანმანათლებლო პროექტებს.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამულ ნაწილთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რჩევა, რომ სასურველი იყო სასკოლო გეგმაში ყოფილიყო მკაფიო ჩანაწერი საფეხურის დაძლევისა და საფეხურის საერთო ქულის გაანგარიშების წესის შესახებ. ეროვნული სსასწავლო გეგმის 34-ემუხლის მე-3 პუნქტისა და 35-ე მუხლის მე-2, მე-3, მე-4 პუნქტების შესაბამისად, ასევე, სკოლას სწორად განესაზღვრა სემესტრის ბოლოს ჩასატარებელი სარეიტინგო წერის სტატუსი, მიზნები და შეფასების პრინციპი.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლას არჩეული ჰქონდა პირველი მოდელის საათობრივი ბადე. საათობრივ ბადეში წარმოდგენილი იყო ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო და არჩევითი საგნები. დამატებითი მომსახურეობა შეთავაზებული იყო წრეების სახით.

ექსპერტის განცხადებით, სკოლაში ფუნქციონირებდა ოთხი საგნობრივი კათედრა. სახელმწიფო ენისა და უცხო ენების კათედრა; ზუსტ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ისტის კათედრა; დაწყებითი საფეხურის კათედრა; საზოგადოებრივი მეცნიერებების, ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა.

მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, ექსპერტმა განაცხადა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით იჯარით ფლობდა მიწის ნაკვეთს (მიწის ნაკვეთის ფართი 1311,5 კვ.მ.) და მასზე განთავსებული შენობის ნაწილს (ფართი 632,9 კვ.მ.) ქ. ბოლნისში, დ. აღმაშენებლის N29-ში. საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებული იყო, რომ იჯარის ხელშეკრულება გაფორმებული იყო 14.03.2018, 6 წლის ვადით, შენობის მესაკუთრე იყო ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია. მიუხედავად იმისა, რომ უკვე 18 წელია, რაც ვადის გასვლის შემდეგ სკოლამ და მერიამ რამდენჯერმე გააგრძელეს იჯარის ვადა (ხელშეკრულებაშიც იყო პუნქტი, რომ ხელშეკრულება შეიძლებოდა გაგრძელებულიყო მხარეთა შეთანხმებით), სკოლას მიეცა რჩევა, რომ მერიისგან მოეპოვებინა (თუ ეს შესაძლებელი იყო) გარანტიები, იჯარის უპირობო და უპირატესი განგრძობის შესახებ.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლის სარდაფის სართულზე მოწყობილი იყო დიდი ზომის ოთახი სპორტული დარბაზის დანიშნულებით, რომელსაც სკოლა, საჭიროების შემთხვევაში სააქტო დარბაზადაც იყენებდა. სკოლის ეზოში მოწყობილი იყო ფართი სპორტული მოედნის დანიშნულებით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოედნის საფარი მოსაწესრიგებელი იყო. სკოლას მიეცა რჩევა მოეწესრიგებინა მოედნის საფარი, ისე, რომ წვიმის შემდეგ ბუნებრივ გრუნტიანი საფარი დიდხანს გამოუყენებელი არ დარჩენილიყო. ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლას ასევე, გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმები ,,ა(ა)იპ - სკოლის გარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება ბოლნისის სპორტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექსთან" და ,,ააიპ - ბოლნისის მუნიციპალიტეტისა სტადიონებისა და სპორტული მოედნების მართვის სამსახურთან''. მემორანდუმის მიხედვით მხარეთა თანამშრომლობის ფარგლებში ერთ-ერთი იყო ის, რომ სკოლას ამ დაწესებულების ფარგლებში არსებული სტადიონებისა და სპორტული მოედნების გამოყენების უფლება ეძლეოდა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლას საბუნებისმეტყველო მეცნიერების ლაბორატორია ჰქონდა შენობის მეორე სართულის ორ ოთახში. ერთ მათგანში, რომელიც იკეტებოდა, რეაქტივები და ონკანი ნიჟარით, მეორეში ლაბორატორიული აღჭურვილობები იყო განთავსებული. ფიზიკის, ბიოლოგიის სადემონსტრაციო ცდები მოსწავლეებს უტარდებოდათ კლასებში, ხოლო ქიმიის ცდები, რომლებიც სკოლის წარმომადგენლის განმარტებით უსაფრთხო, საყოფაცხოვრებო პროდუქტების (საჭმელი სოდა, მარილი, ძმარი და მისთანანი) გამოყენებით ხორციელდებოდა - ტარდებოდა ლაბორატორიულ ოთახში, რომელშიც ცდების სადემონსტრაციო მაგიდა მოწყობილი იყო ფანჯრის მიმდებარედ. მიუხედავად ამისა, სკოლას მიეცა რჩევა, მეტი

უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რომ ლაბორატორიაში დაემონტაჟებინა ამწოვი კარადა. ექსპერტის განმარტებით, ვიზიტის დასასრულს, სკოლამ წარმოადგინა ქიმიური ცდებისთვის განკუთვნილი მაგიდა, უჟანგავი და ცეცხლგამძლე მასალისგან დამზადებული, რომელიც სკოლას გადასცა გვერდით მდებარე საავადმყოფომ. გადაცემის დოკუმენტები ვიზიტის დროს არ იქნა წარმოდგენილი.

ექსპერტის განცხადებით, სკოლაში იყო საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო. საკლასო ოთახებს ჰქონდათ ბუნებრივი განათება. ორივე სართულზე მოწყობილი იყო სველი წერტილები. ორივე სართულზე მოწყობილი იყო ადაპტირებული სველი წერტილი. სველი წერტილები უზრუნველყოფილი იყო ჰიგიენის საშუალებებით.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლის შენობის პირველ სართულზე განთავსებული იყო და ფუნქციონირებდა ბიბლიოთეკა. წიგნები დამუშავებული იყო საბიბლიოთეკო წესით. სკოლას ჰქონდა საინვენტარო წიგნი, რომელშიც წიგნები გატარებული იყო სხვადასხვა განყოფილებაში-სფეროების მიხედვით (ხელოვნება, ტექნიკა, მეცნიერება, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ზოგადი, სახელმძღვანელოები და სხვა). საერთო ჯამში საინვენტარო წიგნის მიხედვით, გატარებული იყო 715 ერთეული წიგნადი ერთეული. სკოლას ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრიფირებული სახელმძღვანელოები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის შენობის ორივე სართულზე და სარდაფის სართულზე, თვალსაჩინო ადგილას განთავსებული იყო საევაკუაციო გეგმები და საევაკუაციო გასასვლელების მანათობელი მაჩვენებლები. საევაკუაციო გეგმები დამზადებული იყო შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ.

ექსპერტის განცხადებით, სკოლის შენობის გარე სივრცის დათვალიერება ხდებოდა 3 კამერის საშუალებით. ვიდეოკონტროლი ხორციელდებოდა შენობის მთავარ შესასვლელში დამონტაჟებული ორი კამერით და ეზოს შესასვლელზე მიმართული ერთი კამერით. მთავარი შესასვლელის კამერები იხედებოდა ერთი მიმართულებით, ექსპერტთა მხრიდან, სკოლას მიეცა რჩევა, მთავარ შესასვლელის კამერების ხედვის მიმართულება შეეცვალა ისე, რომ ჯვარედინი ხედვა ჰქონოდათ. შიდა სივრცის ვიდეოდათვალიერება ხორციელდებოდა 5 კამერის საშუალებით, მათ შორის ვიდეოკამერა დამონტაჟებული იყო სპორტულ დარბაზშიც. გარდა ამისა, არ კონტროლდებოდა და შიდა სივრცის ერთი მცირე დერეფანი და კიბის უჯრედი. ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლას მიეცა რეკომენდაცია, მცირე დერეფანი და კიბის უჯრედში დაემონტაჟებინა კამერები, ამასთან მოეხსნა კამერა სპორტული დარბაზიდან. არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირებისას სკოლამ განაცხადა, რომ სპორტული დარბაზიდან მოხსნილი კამერა კიბის უჯრედში დაამონტაჟა, ხოლო მეორე სართულის დერეფანში დაამონტაჟა კამერა, რომელიც სკოლამ ჩუქებით მიიღო ფიზიკური პირისგან, რის შესახებაც წარმოადგინა ჩუქების ხელშეკრულება და კამერის დამონტაჟების ფოტოები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის სამედიცინო კაბინეტის აღჭურვა სრულად აკმაყოფილებდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისერთობლივ №41/ნ/01-23/ნ ბრძანების მოთხოვნებს. იყო სველი წერტილი, სამედიცინო ტახტი, შირმა, მაცივარი, სამედიცინო კარადა და მაგიდა. სამედიცინო კაბინეტის ფართობი 9 კვ.მ.-ამდე იყო. ექსპერტთა მხრიდან სკოლას მიეცა რეკომენდაცია, აღნიშნული ბრძანების უკეთ დაკმაყოფილების მიზნით, სამედიცინო კაბინეტი მოეწყო არანაკლებ 12 კვ.მ. ფართის ოთახში. არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირებისას სკოლამ მოიწერა, რომ გაითვალისწინებდა რეკომენდაციას და სამედიცინო კაბინეტს შესაფერის ოთახში გადაიტანდა საზაფხულო არდადეგების დროს, რათა ეხლა სარემონტო სამუშაოებს ხელი არ შეეშალა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისთვის.

ექსპერტმა განაცხადა, რომ საავტორიზაციო ვიზიტის პერიოდში სკოლას შემუშავებული ჰქონდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისი

წესის პროექტი. ამ წესის შესათანხმებლად, სკოლა გაგზავნილი ჰქონდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შესათანხმებელი წერილი და მიღებული რეკომენდაციების გამოსწორების შემდეგ გაგზავნილი უსაფრთხოების წესის გაგზავნილ ვერსიაზე ჯერ პასუხი არ ჰქონდა მიღებული. ასევე, სკოლას გამოყოფილი ჰყავდა უსაფრთხოებაზე პასუხიმგებელი პირი.

ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით, ექსპერტმა განაცხადა, რომ სასკოლო სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის სკოლაში დასაქმებული იყო 25 თანამშრომელი, მათ შორის 17 მასწავლებელი. ვიზიტის დროს სკოლას ჰყავდა 3 უსტატუსო მასწავლებელი, რომლებთანაც გაფორმებული იყო კანონმდებლობით დადგენილის წესით შესაბამისი ხელშეკრულებები.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრი, ია გიგიბერია დაინტერესდა საბუნესბისმეტყველო ლაბორატორიაში რამდენად იყო შესაძლებლო ჩატარებულიყო ცდები.
ექსპერტმა განმარტა, რომ ლაბორატორიაში არ იყო განთავსებული მერხები და სკამები. მასწავლებლებს ლაბორატორიიდან კლასებში გაჰქონდათ საჭირო რესურსი.
აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლის წარმოამდგენელმა განმარტა, რომ პანდემიის პირობებში სკოლა გადასული იყო ძირითადად ვირტუალური ლაბორატორიის გამოყენებაზე. მან აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე უკვე სკოლა ორიენტირებული იყო ლაბორატორიის მოწყობაზე, სკოლამ დაამონტაჟა ამწოვი კარადაც და ლაბორატორიაში განთავსდა მერხები და სკამები და უახლოეს მომავალში შესაძლებელი იქნებოდა ლაბორატორიაში საგაკვეთილო პროცესის წარმართვა.
საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი დაინტერესდა სკოლის ფართის იჯარის ვადის თაობაზე, რომელიც არ იყო გაფორმებული ახალი საავტორიზაციო ვადით.
სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ სკოლა ელოდებოდა ხელშეკრულების დასრულების ვადას და მუნიციპალიტეტის გამგეობისგან ჰქონდა ზეპირი თანხმობა, რომ ავტომატურად გაგრძელდებოდა შეთანხმება, ვადის ამოწურვისთანავე, (ხელშეკრულებაშიც იყო ასევე პუნქტი, რომ ხელშეკრულება შეიძლებოდა გაგრძელებულიყო მხარეთა შეთანხმებით). ასევე, მან განაცხადა, რომ ახალი აუდიტორილი შემოწმების საფუძველზე მოხდა ფართის ღირებულების ფასის მომატება. შესაბამისად, სკოლას მიმდინარე ხელშეკრულების შეწყვეტითა და ახალი ხელშეკრულების გაფორმებით მოუწევდა გაზრდილი იჯარის თანხის გადახდა.
საბჭოს წევრმა, გაგა გიგიბერიამ, გამოთქვა პოზიცია, რომ ასეთ შემთხვევაში, სკოლისთვის კარგი იქნებოდა გამოეცხადებინათ ნდობა.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა დააფიქსირა პოზიცია, რომ სკოლას მისი ოფიციალური მეილი განთავსებული ჰქონდა არაქართულ სერვერზე და რომ სკოლას ემუშავა, რომ განეთავსებინა მოსწავლეთა პერსონალური მონაცემები დაცულ სერვერზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლა გაითვალისწინებდა აღნიშნულ რეკომენდაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 150 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სპს კერძო საშუალო სკოლა დავითიანი-მარინა გორშკოვას ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მეორე პუქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სპს კერძო საშუალო სკოლა დავითიანი-მარინა გორშკოვას (ს/კ: 225391652) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, მოწყობისთანავე, ცენტრში წარმოედგინა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ფუნქციონირების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

4. შპს მჭევრის დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა და მარინე ჯანაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 15 და 16 დეკემბერს.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე. სკოლაში დანერგილია მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეთათვის სტიპენდიების დანიშვნა, ასევე ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში თანამშრომლებისთვის ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის მიმართ გაცემული რეკომენდაციების თაობაზე. მან განაცხადა, რომ დაწესებულებას ექსპერტთა მხრიდან შეეთავაზებინა მინიმუმ ორი უცხოური ენა ასარჩევად.
ასევე, ექსპერტმა განაცხადა, რომ რეკომენდებული იყო დამტკიცებული სასკოლო სასწავლო გეგმის საჯაროობა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სხვადასხვა არხებით, მათ შორის სკოლის ვებგვერდზე განთავსებით.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლაში სემესტრის ბოლოს ტარდებოდა კომპლექსური შემაჯამებელი წერა სკოლის მიერ დადგენილ საგნებში, რომლის ქულა აისახებოდა საგნის სემეტრულ ქულაზე. ექსპერტთა მხრიდან, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, წინასწარ დაედგინა და გადაეხედა სასკოლო საზოგადოებისთვის ცნობილ რომელ საგნებში იქნებოდა აღნიშნული წერა, დაეზუსტებინა/განემარტა ქულის გამოანგარიშების წესი. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ გაითვალისწინა რეკომენდაციები და წარმოადგინა ცვლილებების ამსახველი პედგოგიური საბჭოს გადაწყვეტილების ოქმი.
მატერიალურ რესურსთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციების თაობაზე ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლას მიეცა რეკომენდაცია უსაფრთხოების მიზნით, ბაღის აღსაზრდელებისთვის დამოუკიდებელი შესასვლელი მოეწყო, არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ წარმოადგინა თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურისდმი გაგზავნილი კორესპონდენცია, სადაც ითხოვდა შესაბამის დასკვნას დამატებითი კიბის მოწყობის შესახებ.
ექსპერტმა ასევე განაცხადა, რომ სპორტულ დარბაზში ფუნქციონირებდა მხოლოდ ერთი გასახდელი, რომელი საჭიროებდა რეაბილიტაციას, სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველეყო როგორც ვაჟებისთვის, ისე გოგოებისთვის ცალ-ცალკე გასახდელები, აღჭურვილი ტანსაცმლის საკიდებით და სკამებით. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ გადმოგზავნა ფოტომასალა, სადაც ასახული იყო გასახდელების მოწყობის საკითხი.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლას იჯარით გადაცემული ჰქონდა სპორტული დარბაზი, ხელშეკრულების პირობების გადამოწმებისას, სკოლას მიეცა რეკომენდაცია ხელშეკრულების საგანში მიეთითებინა იჯარის მიზნობრიობა და დაეზუსტებინა უცხო პირების მიერ დარბაზის გამოყენების დრო (საათები). არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგნისას სკოლამ გადმოაგზავნა ხელშეკრულება სადაც გათვალისწინებული იყო გაცემული რეკომენდაცია.
ექსპერტმა განმარტა სკოლის მიმართ გაცემული კიდევ ერთი რეკომენდაცია. მისი განცხადებით, რეკომენდებული იყო სკოლას ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ვებ-გვერდზე განეთავსებინა შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები. ვებ-გვერდი პერიოდულად განახლებულიყო და ასახულიყო უახლესი ინფორმაცია. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას უზრუნველყო ვებ-გვერდის განახლება.
ექსპერტმა განაცხადა, რომ გაიცა ასევე რეკომენდაცია, სტანდარტის უკეთ შესაბამისობის მიზნით, სკოლის წარმოდგენილ სტრატეგიულ გეგმებში განსაზღვრულიყო მოსალოდნელი შედეგები და შედეგის ინდიკატორები, ასევე გეგმის შესრულების მონიტირინგის ეფექტიანი მექანიზმები.
ადამიანურ რესურსთან მიმართებით, ექსპერტმა განაცხადა, რომ ხარვეზი ან რეკომენდაცია არ გაცემულა, ვინაიდან სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებული იყო შესაბამისი ხელშეკრულება.

ექსპერტმა აღნიშნა სკოლის მიმართ დადგენილი ხარვეზის შესახებ და განაცხადა, რომ სკოლას არ ჰქონდა ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის, კერძოდ, ადაპტირებული სველი წერტილი. აღნიშნული სველი წერტილი მოწყობილი ჰქონდა სკოლას შენობაში არსებული ბაღის ტერიტორიაზე, რომელიც არ ეკუთვნოდა იურიდიულად სკოლას. თუმცა, სტრატეგიულ გეგმაში გაწერილი ჰქონდა, რომ ითვალისწინებდა ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობას. ვიზიტის პერიოდში სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე არ ირიცხებოდა.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა დაწესებულების მეთორმეტე კლასებში არსებული მოსწავლეთა რაოდენობის დისბალანსის თაობაზე, კერძოდ კი, ერთ მეთორმეტე კლასში ფიქსირდებოდა 21 მოსწავლე, ხოლო მეორეში - 3. ასევე, საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რას აპირებდა სკოლა ადაპტირებული სველი წერტილის შესახებ.
ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებას სახელმწიფოსგან ჰქონდა შეძენილი საჯარო სკოლის შენობა და ხელშეკრულებაში იყო დათქმა, რომ იმ პერიოდში საჯარო სკოლაში რიცხული ყველა მოსწავლე, სურვილის შემთხვევაში, გადასახადის გარეშე, დაამთავრებდა აღნიშნულ სკოლას და არ მოუწევდა გადასვლა. სწორედ ეს მოსწავლეები იყვნენ იმ მეთორმეტე კლასში, რომელშიც ირიცხებოდა 3 მოსწავლე.
სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობას გეგმავდა უახლოეს პერიოდში.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 350 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მჭევრის დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 350 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მეორე პუქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად,

შპს მჭევრის დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლას (ს/კ: 208142339) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 350 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, ცენტრში წარმოედგინა ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია 2023 წლის 01 აპრილამდე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 18:15 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა